საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

საქართველო, ქ. ქუთაისი, 4600, ი. აბაშიძის გამზ. 26
ტელ: 228 91 68
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

26 Abashidze Avenue, 4600, Kutaisi, Georgia
Tel: 228 91 68
e-mail: legaldep@parliament.ge

№616

„6“ „აპრილი“ 2015 წ.

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის წევრის სერგო რატიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის (07-3/429, 02.04.2015) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის სერგო რატიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის (07-3/429, 02.04.2015) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი და მიზანშეწონილად მიაჩნია კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყება.

ალექსანდრე ტაბატაძე

დეპარტამენტის უფროსი

საქართველოს
პარლამენტი

საბიუჯეტო ოფისი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ბაღვ. 26

№ 3921

06 04 2015 წელი

საქართველოს პარლამენტის

საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრის სერგო რატიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-3/429, 02.04.15) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან შესაბამისობის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის სერგო რატიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (07-3/429, 02.04.15) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 145-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან შესაბამისობის საკითხი და აღნიშნავს შემდეგს:

წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა, ერთი მხრივ, ითვალისწინებს სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ა(ა)იპ – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდის მოგების იმ ნაწილის გადასახადისგან განთავისუფლებას, რომელიც რეინვესტირდება საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო მეორე მხრივ, სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და ა(ა)იპ – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის განსაზღვრას დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 0.1% პროცენტის ოდენობით.

საკანონმდებლო ცვლილების ინიციატორი განმარტებითი ბარათის ფინანსურ დასაბუთებაში აღნიშნავს, რომ „კანონპროექტი არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.“.

საბიუჯეტო ოფისი მიიჩნევს, რომ კანონპროექტის ფინანსური დასაბუთების სახით წარმოდგენილი ინფორმაცია არ ასახავს კანონპროექტის მოსალოდნელი გავლენის შესახებ სამართლიან სურათს. კერძოდ, კანონპროექტს აქვს გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, აგრეთვე იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, ასევე კანონპროექტით დგინდება გადასახადის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი).

ვინაიდან საკანონმდებლო ინიციატივა აწესებს ქონების გადასახადთან მიმართებაში საგადასახადო შეღავათს და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებას, კანონპროექტის მიღება გამოიწვევს უარყოფით ფინანსურ ზეგავლენას როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის (მოგების გადასახადის შემთხვევაში), ასევე ადგილობრივი ბიუჯეტების (ქონების გადასახადის შემთხვევაში) საშემოსავლო ნაწილზე მიმდინარე/მომავალ ფისკალურ წლებთან მიმართებაში.

განათლების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დღევანდელი მდგომარეობით ავტორიზებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა რაოდენობა შეადგენს 73 ერთეულს, მათ შორის: სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები - 20 ერთეული, ა(ა)იპ – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-13, შპს - 39 და უცხოური საწარმოს ფილიალი -1 ერთეული.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2013-2014 წლებში სულ საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მოგების გადასახადის სახით გადახდილმა თანხებმა შეადგინა 2014 წელს - 7.3 მილიონი ლარი, ხოლო 2013 წელს - 4.8 მილიონი ლარი. კერძოდ, 2014 წელს სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტში გადახდილ იქნა 3.6 მილიონი ლარი, (2013 წელს - 3.3 მილიონი ლარი); ა(ა)იპ-ების მიერ - 229.5 ათასი ლარი (2013 წელს - 26.0 ათასი ლარი); შპს-ების მიერ - 3.4 მილიონი ლარი, (2013 წელს - 1.5 მილიონი ლარი); უცხოური საწარმოს ფილიალის საგანმანათლებლო დაწესებულებიდან - 30.3 ათასი ლარი, (2013 წელს - 25.3 ათასი ლარი).

შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივით სსიპ-ების და ა(ა)იპ-ის მოგების გადასახადისგან განთავისუფლების შემთხვევაში, იმ დაშვებით რომ ყველა მათგანი შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში ისარგებლებენ აღნიშნული შეღავათით და სრულად მიმართავენ მათ მიერ მიღებულ მაქსიმალურ მოგებას რეინვესტირებაზე, კანონპროექტის გავლენით მიმდინარე/მომავალი სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმური მაჩვენებლისგან უარყოფითი გადახრა შეადგენს **3.8 მილიონ ლარს.**

რაც შეეხება ქონების გადასახადს, 2014 წელს საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ქონების გადასახადის სახით გადახდილმა თანხებმა სულ შეადგინა 4.7 მილიონი ლარი, 2013 წელს - 4.0 მილიონი ლარი, შესაბამისად 2014 წელს სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ქონების სახით ადგილობრივ ბიუჯეტებში გადახდილ იქნა - 3.6 მილიონი ლარი, (2013

წელს - 2.9 მილიონი ლარი); ა(ა)იპ-ის მიერ - 55.2 ათასი ლარი, (2013 წელს - 32.9 ათასი ლარი); შპს-ის მიერ - 1.1 მილიონი ლარი; (2013 წელს - 1.0 მილიონი ლარი).

იმ დაშვებით რომ საკანონმდებლო ინიციატივით განსაზღვრული სსიპ-ები და ა(ა)იპ-ები მიმდინარე გადასახადის გადახდისას ისარგებლებენ (საგადასახადო კოდექსის მუხლი 205. პუნქტი 6) მიმდინარე წლისათვის მოქმედი (შეცვლილი) განაკვეთის მიხედვით, რომელიც ნაცვლად არაუმეტეს 1%-სა, მცირდება 0,1%-მდე, კანონპროექტის გავლენით ადგილობრივი ბიუჯეტების საკუთარი შემოსულობების მოსალოდნელი ჯამური მაჩვენებლისგან მიმდინარე/მომდევნო ფისკალური წლისათვის უარყოფითი გადახრა უტოლდება **3.3 მილიონ ლარს.**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საბიუჯეტო ოფისი რეკომენდაციით მიმართავს პარლამენტის ბიუროს, იმსჯელოს კანონის პროექტის განხილვის პროცედურების დაწყების თაობაზე.

პატივისცემით,

თ. ხეთაგური

თათია ხეთაგური

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილების უფროსი